ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1972

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 141 (15354)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ): ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ-ᲛᲐᲮᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲛᲐᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲘᲯᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲠᲘ Ნ. ᲮᲐᲩᲘᲯᲐᲜᲘᲡ, „ᲢᲣ 124“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲘ Ე. ᲩᲘᲩᲘᲐᲕᲐ, ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲐᲜᲢᲔᲠᲘᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲫᲔᲠᲐᲕᲘ Ს. ᲨᲘᲜᲐᲣᲨᲕᲐ, ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ვ. ᲒᲝᲒᲨᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲚᲐᲥᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲛᲝᲪᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠᲔ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲡᲐᲛᲝᲑᲐᲡ, ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 141 (15354)

ᲡᲡᲠ 50

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲮᲔᲓᲝᲛᲐᲖᲔ

თავიანთი ისტორიული მიღწევებისათვის სიამაყის გრძნობით ეგებებიან საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები გამსჭვალულნი არიან გულმხურვალე მისწრაფებით იმუშაონ კიდევ უკეთ, უფრო ნაყოფიერად, რათა პირნათლად განახორციელონ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, აღინიშნონ სახელოვანი იუბილე ახალი მიღწევებით 1972 წლის დასასრულებისა და მთელი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

16 ივნისს გაიმართა ამ ღირსსახსოვარი თარიღისათვის მოსამზადებელი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა მისი თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ა. ნ. ჩურკინის თავმჯდომარეობით. სხდომაზე აღინიშნა, რომ პარტიის მოწოდებას — ღირსეულად შეეხვედეთ იუბილეს — ყველგან გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მშრომელები. მან შრომითი და პოლიტიკური აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია ზაწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ქუთაისელმა მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხუთი თვის სახელმწიფო გეგმა და დაავალის გადამეტებთ გაასაღეს 7.648 ათასი მანეთის პროდუქცია. სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავი შეჯიბრების ავანგარდში არიან საავტომობილო, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, ლითოფონის ქარხნების მუშები.

კარგი ნაყოფი მოაქვს შეგობრობას, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას ჩვენს ქვეყნის მონათესავე საწარმოთა კოლექტივებთან. ქუთაისელი მშრომელები 20 წელიწადზე მეტი ხანია ეჯიბრებიან ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელებს. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშებს დიდი ხნის საწარმოო შეგობრობა აკავშირებთ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივთან. ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის წარმოების მუშაკებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ თავიანთ შეგობრებთან — ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშებთან.

რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრის პარტიული ორგანიზაციები აქტიურ მუშაობას ეწევიან მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის. საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტთან და საავტომობილო ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან შექმნილია ლექტორიუმები. აქ კითხულობენ ლექციებს თემებზე „სსრ კავშირის შექმნა და განვითარება ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა“, „ვ. ი. ლენინი — სსრ კავშირის შექმნის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი საშობლოს ძლიერების დაუშრეტელი წყაროა“. ლექციებს კითხულობენ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მასწავლებლები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

დიდძალი ხალხი ესწრება ხალხთა მეგობრობის საღამოებს. ასეთი საღამოები გაიმართა, კერძოდ, საავტომობილო, ელექტრომექანიკურ, ლითოფონის, ბინის ტარის ქარხნებში.

ეს ფაქტები დაასახელა სხდომაზე ქუთაისის საქალაქო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ს. ს. სიხარულიძემ.

სხდომაზე აღინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ნაყოფიერი საქმიანობა, რომელმაც ფართო მზადება გაუწია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის. ინფორმაცია გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ პ. პ. ბაროდუხინმ. საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში სისტემატურად შუქდება მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების, ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარების პრობლემები, ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული როლი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებაში, მუშათა კლასის წამყვანი როლი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის პრინციპები, რომლებსაც ემყარება მონოლიითური ერთიანობა ხალხებისა, საბჭოთა კავშირი რომ შექმნეს.

გადაცემები ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფოს დიად მიღწევებს 50 წლის მანძილზე. ისინი ასახავენ საქართველოს მშრომელთა, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთა თავდადებულ შრომას იუბილეს აღსანიშნავად. განვლილ ხუთ თვეში ამ თემებზე გადაიცა სხვადასხვა ჟანრის სამი ათასამდე მასალა.

საბჭოთა ხალხის — ადამიანთა ამ ახალი ისტორიული ერთობის — თემა, სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა საუკეთესო ნიშანთვისებანი შუქდება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ახალგაზრდულ და ლიტერატურულ გადაცემებში. ეს არის გადაცემათა ციკლები: „ადამიანი, კოლექტივი, საზოგადოება“, „შენს გვერდით ამხანაგი!“. „სოციალისტური შრომის გმირები“, „მოთხრობები კომუნისტებზე“, „მწერალი და ცხოვრება“.

საქართველოში დამკვიდრებულია ხალხთა მეგობრობის საფუძველზე შობილი მდიდარი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები. ჩვენი ხალხის შრომითს ტრადიციებს ეძღვნება ტელევიზიის გადაცემათა ციკლები „მეგობართა გადაძახილი“, „ძმურ ოჯახში“ და სხვ.

საქართველოს ეთერში გადაიცა უკრაინის, ბელორუსიის, ყირგიზეთის რადიოს დღეები. თვის მხრივ, ყირგიზეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების ეთერში გადაიცა საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი პროგრამები.

სხდომის შედეგები შეაჯამა ა. ნ. ჩურკინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროსა და ეროვნების ერთიანობის, შეგობრობისა და ძმობის საყოველთაო — სახალხო დღესასწაულის მოსაზღვრა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას. ახლა იზრდება აგრეთვე პროპაგანდისტთა, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნის მუშაკთა როლი და პასუხისმგებლობა. მათი მოქმედების მოდერნიზაცია, ყოველდღიური ხელმძღვანელობა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

უნდა გავაფართოოთ ლექციების თემატიკა, გავაუმჯობესოთ თვალსაჩინო პროპაგანდა. მასების შემოქმედებითი აქტივობა, ნოვატორთა ინიციატივა, მოწინავეთა გამოცდილება უნდა მოხმარდეს ხუთწლეული დავალებათა წარმატებით შესრულებას, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიდსულოვან შეჯვდრას.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს მოსამზადებელი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის წევრები მ. ა. გოგიჩაიშვილი, შ. დ. ბიკანაძე, რ. ვ. მეტრეველი, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ბ. ვ. ბუდინიშვილი. (საქინფორმი).

ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲦᲠᲘᲦᲔᲑᲐᲡ!

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲙᲘᲠᲝᲕᲝᲒᲠᲐᲓᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲛᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲚᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜᲐᲓ. რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით, კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით უამინდობის მიუხედავად შარშან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეებმა ჰექტარზე მიიღეს 25-30 ცენტნერი მარცვალი. შესრულდა აგრეთვე ხილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ეფაოვეულეობის პროდუქტების დამზადების გეგმები.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან რაიონის მშრომელნი მიმდინარე წელს. **წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები აგროწესების დაცვით 7.000 ჰექტარზე დათესეს, თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულდა საგაზაფხულო თესვის გეგმები, სიმინდი ნაცვლად 3.527 ჰექტარისა 4.000 ჰექტარზე დათესეს, აქედან 2.500 ჰექტარი სამარცვლეა. კარგად დამუშავდა აგრეთვე ბადები, ვენახები.**

გორის რაიონის მემინდვრეებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წელს მკვეთრად გაადიდონ თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის მოსავლიანობა. ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 25-30 ცენტნერ პურეულს, ხოლო სიმინდს — 40 ცენტნერს.

რაიონის მექანიზატორთა განკარგულებაშია 530 ტრაქტორი, 46 მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 1.400 საკიდი და ნისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანა. რაიონში მუშაობს 630 მექანიზატორი. ეს დიდი ძალაა იმისათვის, რომ ყველა სამუშაო აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდეს.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის ნაყოფიერების ასამაღლებლად. რაიონის კოლმეურნეობების ყველა ტრაქტორი ერთად იქნა თავმოყრილი და შეიქმნა „საქსოფლტექნიკის“ გორისა და ტყვიავის განყოფილებები, რამაც დიდად შეუწყო ხელი სატრაქტორო ბრიგადების განმტკიცებას, კადრების შეგსებას, მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებას, სარემონტოშორისო ვადების გახანგრძლივებას, მექანიზატორთა დამაგრებას და პროფესიული ოსტატობის ამაღლებაზე, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

რაიონში დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკის რემონტის პროგრესული მეთოდების დანერგვას, მანქანების შენახვას. მეტ წილ სატრაქტორო ბრიგადებში არის ტექნიკური მომსახურების პუნქტები.

ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი მექანიზატორთა შრომის პირობების გაუმჯობესებას, მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებასა და პროდუქტების უხვად წარმოებას.

რაიონის მექანიზატორებში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კიროვოგრადის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა მიმართვამ ქვეყნის ყველა მექანიზატორისადმი. კიროვოგრადელთა მიმართვას — „გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და დაცვა-შენახვა“ რაიონის ყველა მექანიზატორი მხურვალედ გამოეხმაურა, მოიწონეს რუსი თანამოსაქმეების პატრიოტული თაოსნობა, ერთხმად დაუჭირეს მხარი და გააჩაღეს შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებისა და დაცვა-შენახვისათვის.

მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს, საიუბილეო წელს გორის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ: 32.000 ტონა ხილი, 38.000 ტონა შაქრის ჭარხალი, 6,6 მილიონი ცალი კვერცხი, 12.000 ტონა ბოსტნეული. ეს გეგმაზე მნიშვნელოვნად მეტია. გეგმის გადამეტებით სახელმწიფო მიიღებს 390 ტონა ხორცს, 650 ტონა რძეს და სხვა პროდუქტებს.

ამ ვალდებულებათა შესრულების საქმეში მთავარი და გადამწყვეტი სიტყვა რაიონის მექანიზატორებს ეკუთვნით. მათს უნარიან, ორგანიზებულ შრომაზე, მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებაზე, ტექნიკის სათანადოდ დაცვა-შენახვაზე დიდად არის დამოკიდებული პროდუქტების წარნოებისა და დამზადების გადიდების ბედი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲡᲘ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲜᲓᲘ

**ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. შ. კიკნაძის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალ წარმატებებს აღწევენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში; უფრო ფართოდ ჩაერთვნენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად.

საქართველოს მშრომელებმა გადაკარბებით შეასრულეს მერვე ხუთწლედის დავალებანი და ახალი ძალით გაშალეს ბრძოლა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულმა ღონისძიებებმა, ახალმა კანონებმა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ, ადგილობრივი საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებამ უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახადა საბჭოების საქმიანობა. ისინი ქმედითს გავლენას ახდენენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მშრომელთა მასების კულტურული დონის ამაღლებას.

რესპუბლიკაში 5.588 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა და მათი ქსელი სისტემატურად ფართოვდება. მიმდინარე ხუთწლედში გაიხსნება 826 ახალი კლუბი, ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი.

მრავალი რაიონისა და ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ნაყოფიერად მუშაობენ მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მშრომელთა იდეური და კულტურული აღზრდის დარგში დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პრესა, რადიო, კინო, თეატრი, ტელევიზია.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს. დანაშაულთა რიცხვი რესპუბლიკაში 1971 წელს 10,4 პროცენტით ნაკლები იყო 1970 წელთან შედარებით. მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევებმა იკლო ოგრეთვე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. შემცირდა ისეთ საშიშ დანაშაულთა რიცხვი, როგორიც არის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ძარცვა, ხულიგნობა და სხვ.

წინა წელთან შედარებით 1971 წელს 18,2 პროცენტით შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები.

საბჭოები, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას. მარტო გასული წელს წაკითხულია 12.539 ლექციათ-მოხსენება; ხშირად ეწყობა იურიდიული კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი, თითქმის ყველა ადგილობრივ საბჭოსთან შექმნილია განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, რომელთა რიცხვი 2.349 აღწევს. მათში გაერთიანებულია 13.989 დეპუტატი და 17.500 აქტივისტი.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მშრომელთა კრებებსა და სოფლის ყრილობებზე რეგულარულად განიხილავენ მშრომელთა აღზრდისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან ერთად ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ჯერ კიდევ არ აქცევს სათანადო ყურადღებას კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. ბევრ ქალაქსა და რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე ვერ უპასუხებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში იშვიათად ეწყობა ლექციათ-მოხსენებები, არ წარმოებს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, ფორმალურად არსებობენ ოფიციმოქმედ კოლექტივები.

რესპუბლიკის ყველა სოფელში არ არის ბიბლიოთეკა.

მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობაში ბიბლიოთეკებს ნაკლებად ეხმარებიან დმანისის, კასპის, ლენტეხის, მარნეულის, ქარელის და სხვა რაიონების ადგილობრივი საბჭოები.

საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჯეროვნად არ ზრუნავენ დასვენების ორგანიზაციისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარებაზე მშრომელთათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დაბალი დონე უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაზე. ამატომ შემთხვევითი როდია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში მატულობს დანაშაულთა შემთხვევები.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, ყოველთვის სათანადოდ არ სწავლობს ჩადენილი დანაშაულის წარმომშობ მიზეზებს და დროულად არ იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად. საჭირო ყურადღება არ ექცევა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

მშრომელთა დეპუტატების ბევრი საბჭო ჯეროვნად არ აფასებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, ზოგ შემთხვევაში ურიგდება ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევას.

საწარმოების, კოლმეურნეობების, მშენებლობებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის არ ხდიან მსჯელობის საგნად ლოთობის, ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების ფაქტებს, რომლებსაც სჩადიან მათი კოლექტივების წევრები.

გაუმჯობესებას საჭიროებს სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობა.

ბევრ ორგანიზაციაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო კონტროლის დაცვას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სარეკვიზიო მუშაობა, მოუწესრიგებელია აღრიცხვა, შექმნილი არ არის პირობები, რომლებიც გამორიცხავენ სოციალისტური საკუთრების დაკარგვის შემთხვევებს.

ერთგვარი შემცირების მიუხედავად რესპუბლიკაში კვლავ დიდია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი. ავტოავარიების რაოდენობის ზრდას ადგილი აქვს აბაშის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, მარნეულის, თელავისა და სხვა რაიონებში.

ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, მაშინ როცა სწორედ ასეთი პირები ხდებიან სამართლის დარღვევანი და დანაშაულის ჩამდენნი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოების უმთავრეს ამოცანად იქნას მიჩნეული მშრომელთა ფართო აქტივის ჩაბმა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ამასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართოს ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს საბჭოთა ადამიანების აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოებს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობა, მათ საქმიანობაში უფრო ფართოდ ჩაბან ინტელიგენცია, მოწინავე ახალგაზრდობა;

ბ) რეგულარულად მოაწყონ მოსახლეობისათვის საინტერესო თემებზე ლექციები და მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, ეზრუნონ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის დონის ამაღლებაზე;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, დროულად შეაკეთონ და კეთილმოაწყონ კლუბების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების შენობები. უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარით, მოწყობილობით და დაკომპლექტონ შესაფერისი კადრებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოებს:

გააუმჯობესონ მოსახლეობის კინომომსახურება. მიაღწიონ იმას, რომ ყველა სოფელში სისტემატურად უჩვენებდნენ მხატვრულ და დოკუმენტურ კინოსურათებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საოლქო, რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა:

გააძლიერონ მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის, ფართოდ გაშალონ სპორტული მოედნების მშენებლობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საცხოვრებელ მასივებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით. სისტემატურად ჩაატარონ სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, ტურისტული სვლები. მიიღონ ზომები, რათა ახალგაზრდობა მაქსიმალურად იყენებდეს სპორტულ ბაზებს.

5. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად:

ა) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები ყველა დასახლებულ პუნქტში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. სისტემატურად შეისწავლონ დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობა თვითეულ ქალაქში, რაიონში, დაბასა და სოფელში. განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება იმ მიზეზების შესწავლაზე, რომლებიც იწვევენ დანაშაულის წარმოშობას და მიიღონ ზომები დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

ბ) უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა, გააძლიერონ ბრძოლა სპეკულაციის, მუქთახორობის, მექრთამეობის, ლოთობის, ნარკომანიისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ.

გ) გააუმჯობესონ მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა, ხშირად მოაწყონ ლექციები და მოხსენებები სამართლის საკითხებზე, იურიდიული კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, კინო, ტელევიზია;

დ) მიაღწიონ სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების აღმზრდელობითი როლის ამაღლებას, სისტემატურად დაეხმარონ მათ. განაზოგადონ და გაავრცელონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება;

ე) არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში მეტად ჩაბან დეპუტატები, სახალხო განათლების მუშაკები, საზოგადოებრივობა. პერიოდულად მოისმინონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ანგარიში და საჭირო დახმარება გაუწიონ მათ ბავშვთა და მოზარდთა უწესდებულების და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს:

ა) სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე, მოსახლეობის კრებებზე, სოფლის ყრილობებზე სისტემატურად განიხილონ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები. პრაქტიკაში დანერგონ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბჭოების გამსვლელი სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომების ჩატარება აღნიშნულ საკითხებზე;

ბ) უფრო აქტიურად ჩაებან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. პერიოდულად მოაწყონ თათბირ-სემინარები და მოხსენებები, შეკრებები გამოცდილების გაზიარების მიზნით;

გ) გააძლიერონ მუშაობა იმ პირთა გამოსავლინებლად, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. უმოკლეს დროში უზრუნველყონ მათი წარმოებაში ჩაბმა, ხოლო იმათ მიმართ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ მათი დაქვემდებარების საწარმოებში მატერიალურ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვა და სათანადოდ დაცვა, გააძლიერონ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, გაზარდონ საწარმოთა დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობა სახელმწიფო საკუთრების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ წარსულის ყველა მავნე გადმონაშთს, უყურადღებოდ არ დატოვონ მოსწავლისა და სტუდენტის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, ახალგაზრდობასთან აღმზრდელობით მუშაობაში უფრო ფართოდ ჩაებან პროფესორ-მასწავლებლები, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ავალებს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, სახალხო მართლოსა და პროკურატურის ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის; ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით მიიღწიონ დანაშაულთა გახსნის მაქსიმალურ რაოდენობას, ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

• • •

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც ჩაბმული არიან საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, დარაზმავენ მასებს ახალი შრომითი მიღწევებისათვის და ყველაფერს გააკეთებენ, რათა ყველა ქალაქში, რაიონში, სოფელსა და დაბაში იყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი და მაღალი კულტურა. ამით ისინი უზრუნველყოფენ ლენინური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ალბაბაძე.

თბილისი. 1972 წლის 14 ივნისი.

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

ხალხის ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება უზრუნველყოფს ხალხის მატერიალურ კეთილდღეობასა და კულტურული დონის განუწყვეტელ ამაღლებას, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ხორციელდება სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას; ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი, უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, ფართოვდება გამაჯანსაღებელი და სანიტარიული ღონისძიებანი, ყოველმხრივ ვითარდება მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი, სოციალისტური საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას.

საბჭოთა კავშირში ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვანი საფუძველია მედიცინის მეცნიერება, რომელიც განუწყვეტელ ვითარდება. მეცნიერული გამოკვლევები მედიცინის დარგში მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი აქტიური სიცოცხლისათვის ზრუნვას.

სსრ კავშირში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ, რომელიც სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ავადობის შემცირება, წინათ გავრცელებული მთელი რიგი ინფექციური დაავადებების ლიკვიდაცია, საერთო და ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირება, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა.

ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა კანონმდებლობა აქტიურად უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ დარგში კანონიერების განმტკიცებას.

ქარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ამოცანები

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, მათი ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობის მაღალი დონე და ხანგრძლივი აქტიური სიცოცხლე; ავადობის თავიდან აცილება და შემცირება; ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემდგომი შემცირება; იმ ფაქტორებისა და პირობების აღკვეთა, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა შედგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირის სხვა მათი შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, ამ კანონისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

მუხლი 3. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოვალეობაა. აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

პროფესიული კავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საზოგადოება და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მონაწილეობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სსრ მოქალაქენი უნდა უფრთხილდებოდნენ როგორც თავიანთ, ისე საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას.

მუხლი 4. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქენი უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებათა ყველასათვის ხელმისაწვდომი უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით.

მუხლი 5. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საფუძვლები საქართველოს სს რესპუბლიკაში

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო სანიტარული ღონისძიებების მთელი სისტემით და ხორციელდება:

1) ფართო გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებებით და მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისათვის განსაკუთრებული ზრუნვით;

2) წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნით, საწარმო ტრავმატიზმის, პროფესიულ დაავადებათა მიზეზებისა და აგრეთვე სხვა იმ ფაქტორების აღმოფხვრით, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ჯანმრთელობაზე;

3) გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებით, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფეროს ჰაერის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფით;

4) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა ქსელის გეგმიანი განვითარებით;

5) ყველა სახის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფასოდ დაკმაყოფილების, სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის ამაღლების, დისპანსერული დაკვირვების თანდათანობითი გაფართოების, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განვითარების გზით;

6) სტაციონარული მკურნალობის დროს სამკურნალო და დიაგნოსტიკური საშუალებათა უფასოდ გაცემის, სხვა სახის სამედიცინო დახმარების დროს სამკურნალო საშუალებათა უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიცემის თანდათანობით გაფართოების გზით.

7) სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა სხვა სამკურნალო დასასვენებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებით;

8) მოქალაქეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით;

9) მეცნიერების განვითარებით, მეცნიერული კვლევის გეგმიანი განხორციელებით, ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერული კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით,

10) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღწევათა გამოყენებით, ამ დაწესებულებათა აღჭურვით უახლესი აპარატურით;

11) მოსახლეობის კვების მეცნიერულ-ჰიგიენური საფუძვლების განვითარებით;

12) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის დარგში სსრ კავშირის კომპეტენციას მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, განეკუთვნება:

1) ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

2) მეცნიერული კვლევის განვითარების, სამედიცინო დანიშნულების ახალი პრეპარატებისა და მოწყობილობის შემუშავების, ამ კვლევისა და საშუშათა კოორდინაციის, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

3. სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების კურსდამთავრებულ სპეციალისტთა განაწილების, მეცნიერული კადრების მომზადების, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

4) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა ქსელის გეგმიანი განვითარებით;

5) ყველა სახის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფასოდ დაკმაყოფილების, სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის ამაღლების, დისპანსერული დაკვირვების თანდათანობითი გაფართოების, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განვითარების გზით;

6) სტაციონარული მკურნალობის დროს სამკურნალო და დიაგნოსტიკური საშუალებათა უფასოდ გაცემის, სხვა სახის სამედიცინო დახმარების დროს სამკურნალო საშუალებათა უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიცემის თანდათანობით გაფართოების გზით.

7) სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა სხვა სამკურნალო დასასვენებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებით;

8) მოქალაქეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით;

9) მეცნიერების განვითარებით, მეცნიერული კვლევის გეგმიანი განხორციელებით, ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერული კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით,

10) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღწევათა გამოყენებით, ამ დაწესებულებათა აღჭურვით უახლესი აპარატურით;

11) მოსახლეობის კვების მეცნიერულ-ჰიგიენური საფუძვლების განვითარებით;

12) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის დარგში სსრ კავშირის კომპეტენციას მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, განეკუთვნება:

1) ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

2) მეცნიერული კვლევის განვითარების, სამედიცინო დანიშნულების ახალი პრეპარატებისა და მოწყობილობის შემუშავების, ამ კვლევისა და საშუშათა კოორდინაციის, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

3. სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების კურსდამთავრებულ სპეციალისტთა განაწილების, მეცნიერული კადრების მომზადების, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

4) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა ქსელის გეგმიანი განვითარებით;

5) ყველა სახის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფასოდ დაკმაყოფილების, სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის ამაღლების, დისპანსერული დაკვირვების თანდათანობითი გაფართოების, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განვითარების გზით;

6) სტაციონარული მკურნალობის დროს სამკურნალო და დიაგნოსტიკური საშუალებათა უფასოდ გაცემის, სხვა სახის სამედიცინო დახმარების დროს სამკურნალო საშუალებათა უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიცემის თანდათანობით გაფართოების გზით.

7) სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა სხვა სამკურნალო დასასვენებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებით;

8) მოქალაქეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით;

9) მეცნიერების განვითარებით, მეცნიერული კვლევის გეგმიანი განხორციელებით, ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერული კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით,

10) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღწევათა გამოყენებით, ამ დაწესებულებათა აღჭურვით უახლესი აპარატურით;

11) მოსახლეობის კვების მეცნიერულ-ჰიგიენური საფუძვლების განვითარებით;

12) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით.

მუხლი 7. საქართველოს სსრ კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარიულ-პროფილაქტიკური და საყოფაიაქო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზაციის წესს აწ ძირითად დებულებათა შესაბამისად ადგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 12. საზოგადოებრიობის მონაწილეობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობაში

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობა, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუჯობესებისაკენ, ხორციელდება საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

სამკურნალო, პროფილაქტიკურ, სანიტარიულ-პროფილაქტიკურ, საყოფაიაქო და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებთან იქმნება საზოგადოებრივი საბჭოები.

ქარი II

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

მუხლი 13. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა ნებადართულია იმ პირებისათვის, რომელებსაც სპეციალური მომზადება და წოდება მიღებული აქვთ სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთ, რომელთაც სპეციალური მოზმადება და წოდება მიღებული აქვთ სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, შეუძლიათ საქართველოს სს რესპუბლიკაში ეწეოდნენ სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობას მიღებული სპეციალობისა და წოდების შესაბამისად.

იმ პირთ, რომლებმაც სამედიცინო ან საფარმაცევტო მოზმადება და წოდება მიიღეს უცხოთის სახელმწიფოთა შესაბამის სასწავლებლებში, ნება ეძლევათ ეწეოდნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში სამედიცინო ან ფარმაცევტულ საქმიანობას სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა ეკრძალება იმ პირთ, რომლებიც დადგენილი წესით არ არიან დამვეზული ასეთი საქმიანობისათვის.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა უკანონო ექიმობისათვის

ექიმობა, თუ ის პროფესიად გაიხადა პირმა, რომელსაც არა აქვს სათანადო სამედიცინო განათლება, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლით.

მუხლი 15. ექიმის ფიცი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველის მე-13 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებმაც დამთავრეს სსრ კავშირის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები და. მიიღეს ექიმის წოდება, დგებენ საბჭოთა კავშირის ექიმის ფიცს.

ფიცის ტექსტსა და მისი დადების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 16. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული მოვალეობანი და უფლებანი

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ძირითად პროფესიულ მოვალეობებსა და უფლებებს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების სხვა მუშაკთა პროფესიულ მოვალეობებს და უფლებებს, ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით, განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ექიმებისა და მედიცინის სხვა მუშაკების პროფესიულ უფლებებს, პატივსა და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 17. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული ცოდნის ხრულყოფა

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ეკალებათ შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა სპეციალიზაციის, მათი პროფესიული ცოდნის სრულყოფისათვის, რაც ხორციელდება დასეოვნების ინსტიტუტებსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა შესაბამის დაწესებულებებში მათი პერიოდულად გადამზადების გზით.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს შეუქმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ მათ შეძლონ სისტემატური მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველის მე-15 მუხლის შესაბამისად მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ატესტაციის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მედიცინის მუშაკთა პროფესიულ კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

მუხლი 18. მოვალეობა საექიმო საიდუმლოების დაცვისა

ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ ცნობები ავადმყოფის სენის, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ, რაც მათ ეცოდეს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს.

იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მიაწოდონ ცნობები მოქალაქეთა სენის შესახებ, ხოლო საგამოძიებლო და სასამართლო ორგანოებს ცნობებს მიაწვდიან მათი მოთხოვნით.

მუხლი 19. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა შეღავათები

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა შეღავათებს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სოფლად და მუშათა დასახლებებში მცხოვრებ და მომუშავე ექიმებს, პროფესორებს, საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტულ პერსონალს, აგრეთვე მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს, საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფასოდ ეძლევათ საცხოვრებელი ბინები გათბობით და განათებით.

მუხლი 20. მედიცინის ფარმაცევტიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკების წახალისება

მედიცინის, ფარმაცევტიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავიანთ პროფესიულ მოვალეობათა შესრულებისას, წახალისებს სახელმწიფო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პასუხისმგებლობა პროფესიულ მოვალეობათა დარღვევისათვის

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს, რომლებიც დაარღვევენ პროფესიულ მოვალეობებს, ეკისრებათ კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ ეს დარღვევა კანონით არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ქარი III

საქართველოს სსრ მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობის უზრუნველყოფა

მუხლი 22. მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობა

საქართველოს სსრ მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს სანიტარიულ-ჰიგიენურ და სანიტარიულ-ეპიდემიისსწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სისტემა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება გარემოს გაჯანსაღებისა და თავიდან აცილებისათვის, მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაჯანსაღებისა და დაავადებათა თავიდან აცილებისათვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობაა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 23. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები

სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ყველა საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ სანიტარიულ-ეპიდემიისსწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დაცვის სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები.

მუხლი 24. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების უფლებამოსილება

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის იმ ორგანოებისა და დაწესებულებების უფლებამოსილება, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას, განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 25. ატმოსფერული ჰაერის, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა უზრუნველყოფა

საწარმოთა და დაწესებულებათა, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან საწარმოთა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტთა დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის დროს გაითვალისწინონ და განახორციელონ ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად, ხოლო ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. იმ მოქმედი ობიექტების ექსპლოატაციის აკრძალვა ან დროებით შეჩერება, რომელთა ნაგავს, გამონაყოფსა და ნარჩენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანთა ჯანმრთელობას

აკრძალულია ისეთი ახალი და რეკონსტრუქტიურებული საწარმოების, საამქროების, უბნების, დანადგარებისა და სხვა ობიექტების ამუშავება, რომლებიც არ უზრუნველყოფენ მავნე ნაგავის, გამონაყოფისა და ნარჩენების ეფექტიან გაწმენდას, გაუვნებლებასა და დაჭერას.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებს უფლება აქვთ აკრძალონ ან დროებით შეაჩერონ მოქმედი ობიექტების ექსპლოატაცია, რომელთა ნაგავს, გამონაყოფსა და ნარჩენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანთა ჯანმრთელობას.

მუხლი 27. სანიტარიული მოთხოვნები სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგების მიმართ

სამეურნეო-სასმელი მოხმარებისათვის გამოსაყენებელი წყლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს იმ სახელმწიფო სტანდარტს მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილი წესით მტკიცდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

სამეურნეო-სასმელი დანიშნულების წყალსადენებისა და მათი წყაროებისათვის წესდება სპეციალური რეჟიმის სანიტარიული დაცვის ზონები, რომლებიც უზრუნველყოფს წყლის სათანადო ხარისხს.

წყალსადენებისა და მათი წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ხოლო ამ ზონების სანიტარიულ რეჟიმს — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 28. სანიტარიული ზედამხედველობა რადიაქტიული, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების წარმოებაზე, გამოყენებაზე, შენახვაზე, ტრანსპორტირებასა და დამარხვაზე

რადიაქტიული ნივთიერებების მაინინიზებელი გამოსხივების წყაროების, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების წარმოება, გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება და დამარხვა ხორციელდება სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების ზედამხედველობით.

მუხლი 29. დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების სანიტარიული მოთხოვნები

დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ყველაზე ხელშეწყობი პირობების შექმნას.

საცხოვრებელი მასივები, სამრეწველო საწარმოები და სხვა ობიექტები ისე უნდა განლაგდეს, რომ გამორიცული იყოს მავნე ფაქტორების ცედი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მისი ცხოვრების სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე.

ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს წყალმომარაგება, კანალიზაცია, ქუჩის საფარის მოწყობა, გაწვანება, განათება, სანიტარიული დასუფთავების უზრუნველყოფა და კეთილმოწყობის სხვა სახეები.

მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისას, დაპროექტების ნორმების, დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების დამტკიცებისას, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების, სამრეწველო და სხვა საწარმოებისა და ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს აუცილებელია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოების საკალდებულო დასკვნა.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებთან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 30. სანიტარიული მოთხოვნები, საცხოვრებელ სადგომებში შესახლებისას

საცხოვრებელ სადგომებში შესახლების სანიტარიულ მოთხოვნებს აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

არ შეიძლება ისეთ სადგომში შესახლება, რომელიც არ შეესაბამება სანიტარიულ მოთხოვნებს.

მუხლი 31. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემა იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება

იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება, ეძლევათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 32. საწარმოო სადგომებისა და სამუშაო ადგილების მოვლის სანიტარიული წესების დაცვა

საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყოფ საწარმოო სადგომებისა და სამუშაო ადგილების მოვლა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად.

საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ საჭირო პირობებს მუშაკთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 33. საცხოვრებელი და სხვა შენობებისა და ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვა

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და იმ ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვას, სადაც ეს შენობებია განლაგებული, ახორციელებენ საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები, რომელთაც ეკუთვნით ისინი, განაგებენ მათ ან სარგებლობენ ამ შენობებით.

საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა მოვლა-პატრონობის სანიტარიული წესების დაცვისა და დასახლებული პუნქტების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის საერთო ღონისძიებათა განხორციელება ევალებათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) საბჭოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დასახლებული პუნქტების სანიტარიული მოვლის თაობაზე მათ მიერ დადგენილი წესების დარღვევისათვის.

მუხლი 34. სპეციალური ტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა

იმ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, აგრეთვე იმ სამუშაოებზე, რომლებიც წარმოებს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში ან იწვევს მომუშავეთა დასვრას, საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებულია მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით, უფასოდ მისცენ სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი.

მუხლი 35. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეთანხმების სავალდებულობა

ახალ სახეობათა ნედლეულის, კვების პროდუქტების, სამრეწველო ნაწარმის, ახალი სამშენებლო მასალების, ტარისა და შესაფუთი მასალების, პოლიმერული და სინთეზური მასალების და მათი ნაწარმის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტები მტკიცდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღნიშნული წესით გასცემენ აგრეთვე იმ ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ახალი სახის მოწყობილობის, ხელსაწყოების და სამუშაო ინსტრუმენტების შემოღების ნებართვას, რომლებმაც შესაძლოა მავნე გავლენა მოახდინონ ჯანმრთელობაზე.

მუხლი 36. ზედამხედველობა სანიტარიული წესების დაცვაზე

ზედამხედველობას ქუჩების, ეზოებისა და დასახლებული პუნქტების სხვა ტერიტორიის მოვლის სანიტარიული წესების დაცვაზე ახორციელებენ მილიცია და სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები.

ზედამხედველობას დასუფთავებაზე, ამ მიზნისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სხვა ნარჩენისა და ნაგვის უტილიზაციისა და გაუვნებლების ორგანიზაციაზე ახორციელებენ სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები.

მუხლი 37. სანიტარიული მოთხოვნები კვების პროდუქტების წარმოების, დამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს

წარმოება, შენახვა და ტრანსპორტირება კვების პროდუქტებისა, ტექნოლოგიური მოწყობილობისა პროდუქტების მომზადების და შემდგომი კულინარიული დამუშავებისათვის, კვების პროდუქტების ტარის, შესაფუთი მასალებისა და ჭურჭლის წარმოება, აგრეთვე კვების პროდუქტების რეალიზაცია შეიძლება ნებადართულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და წესები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველის 27-ე მუხლის შესაბამისად კვების პროდუქტების წარმოებისა და დამუშავებისათვის ახალ ქიმიურ ნივთიერებათა, საშუალებათა და მეთოდების გამოყენება, აგრეთვე საკვები ხასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ზრდის სტიმულატორების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, პოლიმერული და პლასტიკური მასალებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების გამოყენება დასაშვებია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით.

მუხლი 38. ხმაურის თავიდან აცილება და აღკვეთა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სხვა სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან განსორციელონ ღონისძიებები ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, ქუჩებსა და მოედნებზე ხმაურის შესამცირებლად და აღსაკვეთად.

საყოფაცხოვრებო პირობებში ხმაურის შემცირებისა და აღკვეთის წესების დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

ხმაურის შემცირებისა და აღკვეთისათვის მუშაობის ორგანიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ხმაურის შემცირებისა და აღკვეთის წესების დარღვევა იწვევს თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 39. სავალდებულო სამედიცინო შემოწმება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ინფექციურ და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოების, წყალსადენის ნაგებობების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და საბავშვო დაწესებულებების, მეცხოველეობის ფერმების, ზოგიერთი სხვა საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის, აგრეთვე შრომის მავნე პირობებიანი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა სამედიცინო შემოწმება საჭალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ, ხოლო შემდგომ — პერიოდულად.

იმ პროფესიათა და საწარმოთა სიას, რომელთა მუშაკების სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა, და ამ შემოწმების მოწყობის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

თვრამეტ წელზე უმცროსი ასაკის პირთ სამუშაოზე იღებენ მხოლოდ წინასწარი სამედიცინო გასინჯვის შემდეგ და შემდგომში თვრამეტი წლის მიღწევამდე სავალდებულოა მათი ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება.

მუხლი 40. ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილება და ლიკვიდაცია

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დროულად მიიღონ ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგოდ და აგრეთვე ამ დაავადებათა სალიკვიდაციოდ მათი წარმოშობის შემთხვევაში.

ეპიდემიურ ინფექციურ დაავადებათა წარმოშობის ან გავრცელების საფრთხის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დადგენილი წესით შესაბამის ტერიტორიებზე შემოიღონ შრომის, სწავლის, მიმოსვლისა და ტვირთზიდვის განსაკუთრებული პირობები და რეჟიმი, რომელთა მიზანია ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია.

მუხლი 41. ინფექციური სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია და ბაქტერიების მატარებელ პირთა გაჯანსაღება

ინფექციური სნეულებებით დაავადებულ პირთ, რომელიც საფრთხეს უქმნიან გარშემო მყოფთ, უნდა ჩაუტარდეთ სავალდებულო სტაციონარული მკურნალობა, ხოლო ის პირნი, რომელთაც კონტაქტი აქვთ ინფექციურ ავადმყოფებთან, — უნდა გატარდნენ კარანტინში.

ინფექციურ დაავადებათა ბაქტერიების მატარებელი პირნი გაჯანსაღებულ უნდა იქნენ. იგივე პირნი, თუ ისინი შეიძლება გახდნენ ინფექციურ დაავადებათა გამავრცელებელნი იმ საწარმოს თავისებურებებთან დაკავშირებით, სადაც დასაქმებული არიან ან შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით, დროებით გადაყავთ სხვა სამუშაოზე, ხოლო თუ გადაყვანა შეუძლებელია, მათ დროებით გადაყენებენ სამუშაოდან და აძლევენ დახმარებას სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ინფექციურ დაავადებათა და იმ დაავადებათა ნუსხას, რომელთა დროს პირებს ბაქტერიების მატარებლად აღიარებენ, განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 42. პროფილაქტიკური აცრა

ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად წარმოებს მოქალაქეთა პროფილაქტიკური აცრა.

აცრის წესსა და ვადებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 43. მოსახლეობის სანიტარიული განათლება

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი მეცნიერების, კულტურისა და სახალხო განათლების ორგანოებსა და დაწესებულებებთან ერთად წითელი ჯვრისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობით მოწოდებული არიან უზრუნველყონ მოსახლეობაში მეცნიერული სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პრომაგანდა.

ქარი IV

მოსახლეობისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევა

მუხლი 44. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველის 32-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქეებს უწევენ სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას პოლიკლინიკებში, საავადმყოფოებში, დისპანსერებსა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, აგრეთვე სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო დახმარებას ბინაზე.

დიდი სამამულო ომის ინვალიდებს სამედიცინო დახმარებას უწევენ აგრეთვე სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სტაციონარის გარეშე მკურნალობისას კი ისინი სარგებლობენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული დამატებითი შეღავათებით.

ავადმყოფობისას შრომის უნარის დროებითი დაკარგვით მოქალაქენი თავისუფალი არიან სამუშაოდან და დადგენილი წესით მათ აძლევენ დახმარებას სოციალური დაზღვევის სახსრებიდან.

დაავადებათა თავიდან ასაცილებლად სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი მოვალენი არიან ფართოდ გამოიყენონ მოსახლეობის პროფილაქტიკური შემოწმება და დაკვირვების დისპანსერული მეთოდი.

საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ვალდებული არიან განახორციელონ სსრ კავშირის ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადების პროფილაქტიკისა და შრომის უნარის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებანი.

მუხლი 45. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უზრუნველყოფა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველის 32-ე მუხლის შესაბამისად:

უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომელიც სსრ კავშირში მუდმივად ცხოვრობენ, საქართველოს სს რესპუბლიკაში სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით სსრ კავშირის მოქალაქეების თანაბრად;

უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთ, რომელიც დროებით ცხოვრობენ სსრ კავშირში და იმყოფებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, სამედიცინო დახმარებას უწევენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 46. მოქალაქეებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევის წესი

მოქალაქეებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მიხედვით.

პირებს, რომელიც უბედური შემთხვევის შედეგად დაშავდნენ ან უეცარი დაავადების შედეგად აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოითხოვს, ამ დახმარებას დაუყოვნებლივ უწევს უახლოესი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება მისი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად.

საპატიო მიზეზის გარეშე ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ, რომელიც ვალდებული იყო აღმოეჩინა ეს დახმარება, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლით.

მუხლი 47. მედიცინის და ფარმაცევტიკის მუშაკთა მიერ მოქალაქეებისათვის პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მოვალეობა

მედიცინის და ფარმაცევტიკის მუშაკები მოვალენი არიან პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს გზაში, ქუჩაში, სხვა საზოგადოებრივ ადგილებსა და ბინაზე.

მუხლი 48. სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ავადმყოფების გაგზავნის წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძველის 33-ე მუხლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები შეიძლება გაიგზავნონ საქართველოს სსრ შესაბამის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 49. ექიმების მონაწილეობა მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმებების კომისიებში

საჭიროების შემთხვევებში ექიმები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების განკარგულებით მონაწილეობას იღებენ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების კომისიებში.

მუხლი 50. დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდებისა და სამკურნალო საშუალებათა გამოყენება

სამედიცინო პრაქტიკაში ექიმები იყენებენ დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდებს, სამკურნალოწამლო საშუალებებს, რომლებიც ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

ავადმყოფის განკურნების ინტერესებისათვის და მისი თანხმობით, ხოლო არასრულწლოვან ავადმყოფთა და ფსიქიკურად დაავადებულთა სამკურნალოდ მათი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით ექიმს შეუძლია გამოიყენოს დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის ახალი, მეცნიერულად

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

(დასასრული)

ორსულობის ან მშობიარობის გამო ქალისათვის შვებულების და ამასთანავე ნოციალური დაზღვევიდან დახმარების მიცემით; მუშაობაში შესვენების დაწესებით ბავშვის კვებისათვის; ბავშვის დაბადების გამო და ავადმყოფი ბავშვის მოვლის დროისათვის დადგენილი წესით დახმარების გაცემით; მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებაში ქალთა შრომის აკრძალვით ორსული ქალების გადაყვანით უფრო მსუბუქ სამუშაოზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით; შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებითა და გაჯანსაღებით, ოჯახისათვის სასელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარებით და სხვა ღონისძიებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მას უფლება ეძლევა თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი.

მუხლი 64. ორსული ქალებისა და ახალშობილთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი ყოველი ქალისათვის უზრუნველყოფენ კვალიფიციურ სამედიცინო მეთვალყურეობას ორსულობისას, სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას მშობიარობის დროს და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას დედისა და ახალშობილი ბავშვებისათვის.

მუხლი 65. ბავშვებისა და მოზარდების უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ბავშვებისა და მოზარდების სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი: ბავშვთა პოლიკლინიკები, დისპანსერები, საავადმყოფოები, სანატორიუმები და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებანი, სბბავშვთა სანატორიუმების საგზურები ბავშვებს უფასოდ ეძლევათ.

ბავშვებსა და მოზარდებზე დაწესებულია დისპანსერული მეთვალყურეობა.

მუხლი 66. ზრუნვა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვისათვის

ჰარმონიულად განვითარებული ფიზიკური და სულიერი ძალების მქონე ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიზნით სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საბავშო ბაღებისა და ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სატყეო სკოლა-სანატორიუმების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშო დაწესებულებათა ფართო ქსელის განვითარებას.

ბავშვებისათვის, რომლებიც იზრდებიან საბავშო დაწესებულებებში და სწავლობენ სკოლებში, უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების და ჰიგიენური აღზრდისათვის საჭირო პირობები. ბავშვთა სასწავლო-შრომითი დატვირთვა, აგრეთვე მეცადინეობის სანიმუშო რეჟიმი განისაზღვრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და საბავშო დაწესებულებებსა და სკოლებში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას კონტროლს უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი სახალხო განათლების ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

მუხლი 67. მოქალაქეებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევა ბავშვთა მოვლის საქმეში. შეღავათები ავადმყოფი ბავშვის დედას

ბაგებში, ბაღებსა და სხვა საბავშო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვის ძირითად სარჯს გაიღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან.

ფიზიკური ან ფსიქიკური დეფექტების მქონე ბავშვები სახელმწიფო სარჯზე ცხოვრობენ ბავშვთა სახლებში, საბავშო სახლებსა და სხვა სპეციალურ საბავშო დაწესებულებებში.

როცა შეუძლებელია ავადმყოფი ბავშვის ჰოსპიტალიზაცია ან არ არის საფუძველი მისი სტაციონარული მკურნალობისათვის, დედა ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც ბავშვს უვლის, შეიძლება გაათავისუფლონ სამუშაოდან და მისცენ დახმარება სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, დადგენილი წესის მიხედვით.

ერთ წლამდე ბავშვების, აგრეთვე უფროსი ასაკის მძიმე ავადმყოფი ბავშვების სტაციონარული მკურნალობის დროს, თუ ექიმების დასკვნით მათ დედის მოვლა სჭირდებათ, დედას შეუძლია ბავშვთან იყოს სამკურნალო დაწესებულებაში და მას ეძლევა დახმარება სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დადგენილი წესით.

მუხლი 68. კონტროლი მოზარდთა შრომითს და საწარმოო სწავლებასა და შრომის პირობებზე

დასაშვებია მოზარდთა საწარმოო სწავლება ისეთი პროფესიების დაუფლებისათვის, რომლებიც შეესაბამება მათს ასაკს, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, შრომითი და საწარმოო სწავლება ხორციელდება სისტემატური სამედიცინო კონტროლით.

კონტროლს მოზარდთა შრომის იმ პირობების დაცვაზე, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, აგრეთვე იმ სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომელთა მიზანია მოზარდთა დაავადების თავიდან აცილება, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

ქარი VI

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა დასვენების, ტურიზმისა და ფიზიკური კულტურის ორგანიზაცია

მუხლი 69. მოქალაქეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის შესაბამისად;

საქართველოს სსრ ყველა კურორტზე და სანატორიუმებში სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის ჩვენებასა და საწინააღმდეგო ჩვენებას აწესებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის ავადმყოფების სამედიცინო შერჩევისა და გაგზავნის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით. დადგენილი წესის შესაბამისად ავადმყოფებს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში გზავნიან უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან იხდიან სრულ ღირებულებას.

მუხლი 70. კურორტები და სანიტარიული დაცვის ზონები.

კურორტებად შეიძლება ჩაითვალოს ის ადგილები, სადაც არის ბუნებრივი სამკურნალო საშუალებანი, მინერალური წყაროები, სამკურნალო ტალახი, კლიმატური და სხვა პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

ადგილს კურორტად მიიჩნევს, კურორტების სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრებს ადგენს და მათს რეჟიმს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი წარდგენით, რაც შეთანხმებულია ინ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, რომლის ტერიტორიაზეც არის ეს კურორტი.

მუხლი 71. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ორგანიზაცია და გახსნა

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ორგანიზაცია და გახსნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სპეციალიზაციას (სამედიცინო პროფილს) განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო.

მუხლი 72. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სამკურნალო საშუალებათა და საკურორტო ფაქტორების გამოყენებასა და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციაში ახორციელებენ კურორტების მართვის შესაბამისი ორგანოები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახორციელებენ კონტროლს სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაზე სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში, აგრეთვე უწევენ მათ სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებასა და კონსულტაციებს.

მუხლი 73. დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობა

დადგენილი წესის შესაბამისად მოქალაქეები დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობენ უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან იხდიან სრულ ღირებულებას.

მუხლი 74. ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ორგანიზაცია

სახელმწიფო ორგანოებმა, პროფესიულმა კავშირებმა, კომკავშირულმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობაში ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ, სპორტულ და ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობას, ფიზიკური კულტურის კოლექტივების, ტურისტული კლუბებისა და ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას.

ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გეგმებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდა.

ფიზიკულტურული და სპორტული მეცადინეობისათვის მოქალაქეებს დადგენილი წესით გამოუყოფენ სპორტულ ნაგებობებს, სპორტულ ინვენტარსა და ტურისტულ აღჭურვილობას.

იმ მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მისდევენ, სამედიცინო კონტროლს უწევენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი.

ქარი VII

სამედიცინო ექსპერტიზა

მუხლი 75. დროებითი შრომისუუნარობის სამედიცინო ექსპერტიზა

მოქალაქეთა დრეტებითი შრომის უუნარობის ექსპერტიზა ხდება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში და მას აწარმოებს ექიმი ან ექიმთა კომისია, რომლებიც იძლევიან შვებულებებს ავადმყოფობისა და დასახიჩრების, ორსულობისა და მშობიარობის, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოსავლელად და კარანტინის გამო, პროთეზირებისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, განსაზღვრავენ ავადმყოფობის გამო მუშაკის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის საჭიროებასა და ვადებს დადგენილი წესით, აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიაზე გაგზავნის შესახებ.

მუხლი 76. შრომის უნარის ხანგრძლივად ან მუდმივად დაკარგვის სამედიცინო ექსპერტიზა

შრომის უნარის ხანგრძლივად ან მუდმივად დაკარგვის ექსპერტიზას აწარმოებენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, რომლებიც ადგენენ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხს, ინვალიდობის ჯგუფსა და მიზეზს, განსაზღვრავენ ინვალიდთა შრომის პირობებსა და სახეობას, იმ სამუშაოებსა და პროფესიებს, რომლებიც მისაწვდომია მათთვის ჯანმრთელობის მიხედვით, ამოწმებენ გაცვმული დასკვნების შესაბამისად ინვალიდების სამუშაოზე გამოყენებას; ხელს უწყობენ ინვალიდთა შრომის უნარის აღდგენას.

მუხლი 77. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნების სავალდებულოობა

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნები ინვალიდთა შრომის პირობებისა და ხასიათის შესახებ სავალდებულოა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისათვის.

მუხლი 78. შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესი

შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 79. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები

სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებს მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, აგრეთვე სასამართლოს განჩინებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 51-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და ჩატარების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებებთან შეთანხმებით.

ქარი VIII

სამკურნალწამლო და საპროთეზო დახმარება

მუხლი 80. მოქალაქეთათვის სამკურნალწამლო დახმარების წესი

მოქალაქეებს სამკურნალწამლო დახმარებას უწევენ სახელმწიფო საფფთიაქო დაწესებულებები, აგრეთვე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მკურნალობის დროს მოქალაქეთა უფასო ან შეღავათიანი პირობებით სამკურნალწამლო დახმარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 52-ე მუხლის შესაბამისად საფფთიაქო დაწესებულებებს შეუძლიათ გასცენ ნახოლდ ისეთი სამკურნალწამლო საშუალებანი, რომელთა გამოყენება ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

მუხლი 81. სამკურნალწამლო საშუალებათა წარმოებაზე კონტროლის უზრუნველყოფა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 53-ე მუხლის შესაბამისად:

სამედიცინო მიზნებისათვის ახალ სამკურნალწამლო საშუალებათა წარმოება შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით, მათი სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ეფექტიანობის დადგენის შემდეგ;

სამკურნალწამლო საშუალებათა ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის ან დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნიკური პირობების მოთხოვნებს;

სამკურნალწამლო საშუალებათა ხარისხს კონტროლს უწევს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რესპუბლიკური დაქვემდებარების საფფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ დამზადებულ სამკურნალწამლო საშუალებათა ხარისხს კონტროლს უწევს აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 82. მოქალაქეთა უზრუნველყოფა საპროთეზო დახმარებით

საჭირო შემთხვევებში მოქალაქეებს უზრუნველყოფენ პროთეზებით ორთოპედიული, მაკორექტირებელი ნაკეთობებით, სმენის აპარატებით, სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებებითა და მიმოსვლის სპეციალური საშუალებებით.

იმ პირთა კატეგორიებს, რომელთაც უფასოდ ან შეღავათით უზრუნველყოფენ აღნიშნული ნაკეთობითა და საგნებით, აგრეთვე ამ ნაკეთობითა და საგნებით უზრუნველყოფის პირობებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ქარი IX

საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 83. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა, მაშინ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილ წესებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1972 წლის 15 ივნისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1972 წლის 1 სექტემბრიდან.
2. დაეგალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დადგენილოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კანონს.
3. დაეგალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ კანონს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1972 წლის 15 ივნისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ

წაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის ანგარიში, აღნიშნავს, რომ კომისიამ შეისწავლა და განიხილა ახალციხის, თეთრი წყაროს, ხულოს, ლენტეხის და მესტიის რაიონებში კავშირგაბმულობისა და რადიოფიკაციის, ქ. გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების და ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საკურორტო სეზონისათვის მზადების მდგომარეობა. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის მიერ მიცემულმა რეკომენდაციებმა ხელი შეუწყო გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

მუდმივი კომისია თავის საქმიანობაში ფართოდ აბამდა დეპუტატებს, სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლებს.

კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი და 1972 წლის სახელმწიფო გეგმებისა და 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვაში.

ამასთან ერთად ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისია არასაკმარისად აკონტროლებს რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობას, ნაკლებად არის დაკავშირებული ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან, მისი ყველა წევრი აქტიურად არ მონაწილეობს საკითხების შესწავლა-განხილვაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის საქმიანობა.
2. დაეგალოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიას:

სათანადო დახმარება გაუწიოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებს იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს რკინიგზის, წყლის, საჰაერო, საავტომობილო ტრანსპორტის, ელექტროტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციათა მუშაობის საკითხები იმ ვარაუდით, რომ მაქსიმალურად გაუმჯობესდეს მათი საქმიანობა.

3. დაეგალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სათანადო კონტროლი დააწესონ მათი რეკომენდაციებისა და წინადადებების დროულად განხილვასა და რეაგირებაზე სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში. თავიანთ საქმიანობაში უფრო ფართოდ ჩაებან სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.
4. დაეგალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მიერ დაყენებულ საკითხების დროულად შესწავლა-განხილვისათვის. და განახორციელონ ღონისძიებანი მათ შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1972 წლის 15 ივნისი.

ოფიციალური ცნობები

16 ივნისს თბილისში ჩამოვიდა დანიის ქალაქ ოლბორგის ბურგომასტრი მარიუს ანდერსენი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება რუსეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ჩამოსვლის დღეს მარიუს ანდერსენი ესტუმრა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბეხრამოვს. სტუმარი გაეცნო საქართველოს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობასა და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

ნაშუადღევს ოლბორგის ბურგომისტრმა იმოგზაურა თბილისში, დაათვალიერა მეტროპოლიტენი. წაიმარს სტუმარს შეხვედრა მოუწყეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

• • •

მეორე დღეა რესპუბლიკის დედაქალაქში იმყოფება დელეგაცია ნორვეგიის კომუნისტური პარტიის. წარმომადგენლებმა ეწვიეს ბ. ბ. ... ...